

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

### ოქმი N 8

ქ.ვანი თავისუფლების N65

15 ივნისი 2021 წელი

12:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გიგა გოგიბერიძე, მალხაზ ცერცვაძე, დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, აპოლონ რამიშვილი, რობიზონ ფუტყარაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე. დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** ბიჭიკო პაიკიძე.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

**მოწვეული პირი:** *ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - ზვიად კაპანაძე.*

ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - **ტარიელ ძაგნიძე**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძისა და ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩის N3-ის მიმდებარედ არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

*მომხს; ზვიად კაპანაძე*

2. ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე.

მომხს: ტარიელ ძაგნიძე.

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თამარ მეფისა და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე არსებული 3 ერთეული გარე განათების ბოძისა და ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩის N3-ის მიმდებარედ არსებული 1 ერთეული გარე განათების ბოძის ს/ს „სილქნეტი“- სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს ჭირდება საკრებულოს თანხმობა, რომ სილქნეტს იჯარით გადაეცეს გარეგანათების ბოძი .

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 12

წინააღმდეგი - არცერთი

**გადაწყვეტეს:** წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

### **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით (მომხსენებელის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) გელა კაშიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდინარე წელს დასრულდა შემდეგი სახის პროექტები კერძოდ; ქალაქ ვანში, შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია , გადმოსული თანხა 357 233 ლარი. სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში სალხინო-ზენოზნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 542 546 ლარი. ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ზედავანი-ტყელვანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია .

მიმდინარეობს და დასრულების სტადიაშია ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია თანხით 740 000ლარი.წარმატებით მიმდინარეობა ასევე დიხაშხოს ადმინისტრაციულ

ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია. თანხით 604 890 ლარი. ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია თანხით 319 646 ლარი. ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 431 354 ლარი. დაგეგმილი და გამოცხადებულია ტენდერები ტობანიერის, ზეინდრის, ქალაქ ვანის, სალომინაოს და ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა საუბნო საავტომობილო გზების სარეაბილიტაციოდ. სოფლის

პროგრამით წარმოდგენილია 74 პროექტი სხვადასხვა სოფლებში თანხით 516 212 ლარი სულ პროგრამით გათვალისწინებული 570 000 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 12

წინააღმდეგი - არცერთი

**გადაწყვიტეს:** წარმოდგენილი საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

### ***გიგა გოგიბერიძე***

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე